

სს „თამ“ თბილავიამშენი

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	6
3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	19
6. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული	19
7. ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	20
8. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირდაპირი დანახარჯები	20
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	20
10. სხვა საოპერაციო შემოსავალი	20
11. აქტივების გაუფასურების ხარჯი	21
12. ძირითადი საშუალებები	22
13. სასაქონლო მატერიალური მარაგები	23
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23
15. ფული და ფულის ეკვივალენტები	23
16. კაპიტალი	24
17. საგადასახადო ვალდებულება	24
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
19. პირობითი ვალდებულებები	24
20. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	25
21. ფინანსური რისკების მართვა	25
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	27

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	29
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	29
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	30
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	30
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	30
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	30
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „თამ“ თბილავიამშენი-ს მენეჯმენტსა და აქციონერებს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს სს „თამ“ თბილავიამშენი-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას სს „თამ“ თბილავიამშენი-ს თანდართულ ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

კომპანიას არ ჩაუტარებია სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ალტერნატიული პროცედურებით მარაგების ფიზიკურ არსებობასა და კონდიციაში. შესაბამისად, ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირების შეტანა აღრიცხულ მარაგებთან მიმართებაში ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შესყიდვისა და ჩამოწრის დოკუმენტაცია, ვერც სხვა ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება მარაგების ღირებულებისა და მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირდაპირი დანახარჯების სისწორესთან დაკავშირებით. შესაბამისად ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ ფინანსურ ანგარიშგებაში აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა. ასეთი სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 14,303 ლარს, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 26,334 ლარს ხოლო 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 21,626 ლარს.

კომპანიაში დიდი ხნის განმავლობაში არ არის ჩატარებული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია და დანომვრა, ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ძირითადი საშუალებების არსებობასა და კონდიციაში, რადგან არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული აქტივის მიკვლევადობას. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესადარის პერიოდებში წარდგენილ თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ შევძელით რომ მიგვეღო ძირითადი საშუალებების რეესტრი სადაც შესაძლებელი იქნება ცალკეულ აქტივზე იდენტიფიცირდეს ისტორიული ღირებულება, დაგროვილი ცვეთა, სასაგებლო მომსახურების ვადა და აქტივის სახე (ჯგუფი). შესაბამისად ჩვენ ვერ შევძელით შეგვემოწმებინა ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულების და დაგროვილი ცვეთის სისწორე 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ასევე ცვეთის ხარჯის სისწორე რაც 2020 წელს შეადგენს 624 ლარს (2019 646 ლარი). ასევე ვერ შევაფასეთ ძირითადი საშუალებების ჯგუფებში წარდგენის შესაბამისობა სტანდარტის მოთხოვნებთან.

კომპანიამ 2020 წელს შეაფასა აქტივების ნაწილი და აღიარა მათთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვი 456 ათასი ლარის ოდენობით, კომპანიამ გადაფასების მოდელი გამოიყენა კონკრეტული აქტივებისთვის და არა ძირითადი საშუალებების მთელი ჯგუფის მიმართ, რაც წარმოადგენს ბასს 16.29-ის მოთხოვნებიდან გადახვევას.

ჩვენ ვერ შევძელით დაგვედასტურებინა არამატერიალური აქტივების ისტორიული ღირებულების და დაგროვილი ამორტიზაციის სისწორე 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანიის არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია თვითღირებულებით. შესაბამისად ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ ფინანსურ ანგარიშგებაში აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია ინვესტიცია 1,591 ათასი ლარის ოდენობით, რომლის პირველადი დოკუმენტაცია კომპანიის მიერ ვერ იქნა მოწოდებული, რომ დაერწმუნებულიყავით ინვესტიციის კლასიფიკაციისა და საბალანსო ღირებულების სისწორეში. ასევე არ არის მომზადებული შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა ინვესტიციის შესახებ დეტალების გასამჟღავნებლად. ჩვენ ვერ შევძელით განვსაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებების შეტანა აღრიცხულ ინვესტიციებთან მიმართებაში, ასევე ვერ განვსაზღვრეთ რა ინფორმაცია არ არის წარდგენილი ინვესტიციების შესახებ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგველო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთის სისრულესა და სიზუსტეზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილი და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგველო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები არარეზიდენტ მომსახურე ბანკში განთავსებულ თანხაზე, რომლის საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1,175 ათას ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი - 1,210 ათასი ლარი). ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

კომპანიას 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარდგენილი აქვს სრულად შევსებული სააქციო კაპიტალი 69,145 ათასი ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ დოკუმენტაცია თუ რა ფორმით ან როდის მოხდა კაპიტალის შევსება, შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ იყო თუ არა საჭირო კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ სააქციო კაპიტალთან მიმართებაში., ასევე ვერ განვსაზღვრეთ აღნიშნულის ეფექტი ფინანსური ანგარიშგების სხვა მუხლებზე.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი საგადასახადო ვალდებულებები შეესაბამება საგადასახადო ბარათზე არსებულ ნაშთს რაც წარმოადგენს მესამე მხარის მიერ ნაშთის დადასტურების ალტერნატივას. ჩვენ ვერ შევძელით ვერც ალტერნატიული პროცედურებით დაერწმუნებულიყავით საგადასახადო ვალდებულების სისწორეში და შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

კომპანიას მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში წარდგენილ აქვს შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 28,569 ათასი ლარის ოდენობით. კომპანიამ ვერ მოგვაწოდა აღნიშნულ შემოსავლებთან დაკავშირებული პირველადი დოკუმენტაცია. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან და ახსნა-განმარტებით შენიშვნასთან მიმართებაში.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 29 მარტს გამოთქვა პირობითი მოსაზრება.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 28-32 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. როგორც აღწერილია ზემოთ - „*მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი*“ - ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „თამ“ თბილავიამშენი-ს ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოსათქმელად შესაბამისად, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძველად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ სს „თამ“ თბილავიამშენი-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „*მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი*“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.



შპს „ეკოვის ბი-თი-ვი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-520853)

16 მარტი, 2022

თბილისი, საქართველო.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-520853)

16 მარტი, 2022

თბილისი, საქართველო.

სს „თამ“ თბილავიამშენი

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019 (გადაანგარიშებული)
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული	7	38,835	9,041
ხელშეკრულებებიდან			
მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების	8	(20,374)	(4,949)
პირდაპირი დანახარჯები			
საერთო მოგება		18,461	4,092
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(3,062)	(2,691)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	10	247	292
აქტივების გაუფასურების ხარჯი	11	(3,949)	(259)
საოპერაციო მოგება		11,697	1,434
ფინანსური შემოსავალი		65	1
ფინანსური ხარჯი		(263)	(292)
საკუროსო მოგება/(ზარალი)		(414)	(244)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(2,845)	(1,542)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		8,240	(643)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		8,240	(643)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 16 მარტს:

გენერალური დირექტორი

მიხეილ ოღლიშვილი

ფინანსური
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ნოზაძე

სს „თამ“ თბილავიამშენი

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019 (გადაანგარიშებული)
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული	7	38,835	9,041
ხელშეკრულებებიდან			
მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების	8	(20,374)	(4,949)
პირდაპირი დანახარჯები			
საერთო მოგება		18,461	4,092
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(3,062)	(2,691)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	10	247	292
აქტივების გაუფასურების ხარჯი	11	(3,949)	(259)
საოპერაციო მოგება		11,697	1,434
ფინანსური შემოსავალი		65	1
ფინანსური ხარჯი		(263)	(292)
საკუროსო მოგება/(ზარალი)		(414)	(244)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(2,845)	(1,542)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		8,240	(643)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		8,240	(643)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 16 მარტს:

გენერალური დირექტორი

მიხეილ ოდლიშვილი

ფინანსური
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ნოზაძე

სს „თამ“ თბილავიამშენი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2019 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები, წმინდა	12	26,586	26,253	26,745
არამატერიალური აქტივები		237	279	283
ინვესტიციები		1,591	1,591	1,591
სულ გრძელვადიანი აქტივები		28,414	28,123	28,619
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	13	14,303	26,334	21,626
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	13,896	4,776	4,950
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	1,554	4,195	3,680
სულ მიმდინარე აქტივები		29,753	35,305	30,256
სულ აქტივები		58,167	63,428	58,875
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		69,145	69,145	69,145
დაუფარავი ზარალი		(35,631)	(44,327)	(43,684)
სულ კაპიტალი	16	33,514	24,818	25,461
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		-	3,188	2,745
საგადასახადო ვალდებულებები	17	215	584	293
სავაჭრო ვალდებულებები	18	24,438	34,838	30,376
სულ მიმდინარე ვალდებულებები		24,653	38,610	33,414
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		58,167	63,428	58,875

სს „თამ“ თბილავიამშენი

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	სააქციო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2019 (გადაანგარიშებული)	69,145	(43,684)	-	25,461
წლის სრული ზარალი	-	(643)	-	(643)
31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)	69,145	(44,327)	-	24,818
წლის სრული შემოსავალი	-	8,240	-	8,240
ძირითადი საშუალებების გადაფასება	-	-	456	456
31 დეკემბერი 2020	69,145	(36,087)	456	33,514

სს „თამ“ თბილავიამშენი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2020	2019
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	8,240	(643)
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	689	668
ფინანსური შემოსავალი	(65)	-
ფინანსური ხარჯი	263	292
საკურსო (მოგება)/ზარალი	414	244
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის კორექტირებამდე	9,541	561
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	12,031	(4,709)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(9,164)	228
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	(10,812)	4,426
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(369)	291
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	1,227	797
გადახდილი პროცენტი	(263)	(292)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	964	505
საინვესტიციო აქტივობები		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(524)	(132)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	-	(40)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(524)	(172)
ფინანსური აქტივობები		
აღებული/(დაფარული) სესხი	(3,422)	249
ნეტო წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსურ აქტივობებში	(3,422)	249
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულის ეკვივალენტების	(2,982)	582
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	4,195	3,680
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	341	(67)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,554	4,195

1. კორპორატიული ინფორმაცია

სს „თამ“ თბილავიამშენი (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაარსებულია 2000 წლის 1 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 208144541. კომპანიის წარმომადგენლობა ეკისრება დირექტორს, 2020 წლის დასაწყისში კომპანიის დირექტორი იყო ივანე აფციაური, აპრილში მოხდა ცვლილება და კომპანიის დირექტორი გახდა ზურაბ აზარაშვილი. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დირექტორი შეიცვალა და გახდა მიხეილ ოლიშვილი. 2020 წლის განმავლობაში კომპანიაში დასაქმებული იყო 200 ადამიანი (2019 - 174)

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

-სამხედრო და საავიაციო ტექნიკის დაპროექტება, დამზადება, გამოცდა, მოდერნიზაცია, რემონტი, ექსპლუატაცია, შესყიდვა, რეალიზაცია, სერვისული მომსახურება, ექსპორტ-იმპორტი;

-სპეცპროდუქციის, საწარმოს-ტექნიკური დანიშნულების და სამოქალაქო პროდუქციის დაპროექტება, წარმოება, რემონტი, გამოცდა, მოდერნიზაცია, შესყიდვა, რეალიზაცია, ექსპორტ-იმპორტი;

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. N191.

კომპანიის დამფუძნებლები: სს „თამ“ თბილავიამშენის მშობელ საწარმოს წარმოადგენს შპს თბილავიამშენი (ს/კ 206125496), რომლის 100%-იანი დამფუძნებელი არის საქართველოს სახელმწიფო.

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მაჩასიათბელები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

2020 წლის პირველ თვეებში ჩინეთში წარმოშობილი ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების, COVID-19, გავრცელება დაიწყო გლობალურად, რაც აფერხებს ბიზნესსა და ეკონომიკურ აქტივობას. 2020 წლის მარტში „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ“ მას პანდემიის სტატუსი მიანიჭა. ვირუსის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფით გავლენა მოახდინა ეკონომიკურ აქტივობაზე მსოფლიო მასშტაბით.

2020 წლის მარტში მსოფლიო მასშტაბით მთავრობების უმეტესობამ (მათ შორის საქართველოშიც) დააწესეს სხვადასხვა სახის შეზღუდვები ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. უმეტესწილად ეს იყო კარანტინის

სახის შეზღუდვები, საზოგადოებრივი და კერძო ტრანსპორტირების შეზღუდვა, გარკვეულ ქვეყნებს შორის საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვა, საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირების შეზღუდვა, საჯარო სივრცეების უმეტესობის დახურვა. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ შეჩერებულა საოპერაციო საქმიანობა.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

განცხადება შესაბამისობაზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფუნქციონირებადი საწარმო

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები

წინა პერიოდის შეცდომები არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობა ან ელემენტების გამოტოვება, წარმოქმნილი ერთი ან რამდენიმე პერიოდის წინ იმის გამო, რომ ვერ იქნა ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც:

- ა) ხელმისაწვდომი იყო, როცა შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ნებადართული იყო საჯარო გამოქვეყნებისათვის; და
- ბ) მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

წინა პერიოდის კორექტირებები:

- სასაქონლო მატერიალური მარაგები - მენეჯმენტის შეფასებით მარაგების ნაწილი ექვემდებარებოდა გაუფასურებას 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 236 ლარი და 2019 წლის განმავლობაში 18,119 ლარი.
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - მენეჯმენტის შეფასებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი შემცირებულად იყო აღიარებული გასულ პერიოდებში, ეფექტი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 2,150 ლარი და 2019 წლის განმავლობაში 146 ლარი.
- მოკლევადიანი სესხები - არასწორად აღიარებული გადაფასების კორექტირება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 616 ლარი და 2019 წლის განმავლობაში 191 ლარი.

რეკლასიფიკაციები - ფინანსური ანგარიშგების შესადარისობის პრინციპის უზრუნველყოფისა და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარმოდგენის მიზნით გაკეთებულია რეკლასიფიკაციები ბალანსის და მოგება-ზარალის მუხლებს შორის.

სს „თამ“ თბილავიამშენი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრის ფინანსურ მდგომარეობაზე კორექტირებების და რეკლასიფიკაციების შედეგი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2019	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები, წმინდა	26,307	-	(54)	26,253
არამატერიალური აქტივები	279	-	-	279
ინვესტიციები	1,537	-	54	1,591
სულ გრძელვადიანი აქტივები	28,123	-	-	28,123
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	45,342	(18,355)	(653)	26,334
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,254	(2,174)	(304)	4,776
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები	4,197	-	(2)	4,195
წინასწარ გადახდილი ხარჯები	584	-	(584)	-
სულ მიმდინარე აქტივები	57,377	(20,529)	(1,543)	35,305
სულ აქტივები	85,500	(20,529)	(1,543)	63,428
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	69,145	-	-	69,145
დაგროვილი ზარალი	(22,992)	(21,335)	-	(44,327)
სულ კაპიტალი	46,153	(21,335)	-	24,818
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	2,485	806	(103)	3,188
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	584	584
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	36,632	-	(1,794)	34,838
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	230	-	(230)	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	39,347	806	(1,543)	38,610
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	85,500	(20,529)	(1,543)	63,428

სს „თამ“ თბილავიამშენი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები (გაგრძელება)

2019 წლის 1 იანვრის ფინანსურ მდგომარეობაზე კორექტირებების და რეკლასიფიკაციების შედეგი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	1 იანვარი 2019	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	1 იანვარი 2019 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები, წმინდა	26,747	-	(2)	26,745
არამატერიალური აქტივები	283	-	-	283
ინვესტიციები	1,537	-	54	1,591
სულ გრძელვადიანი აქტივები	28,567	-	52	28,619
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	39,742	(18,119)	3	21,626
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,723	(2,150)	2,377	4,950
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები	3,685	-	(5)	3,680
წინასწარ გადახდილი ხარჯები	48	-	(48)	-
სხვა მიმდინარე აქტივები	54	-	(54)	-
სულ მიმდინარე აქტივები	48,252	(20,269)	2,273	30,256
სულ აქტივები	76,819	(20,269)	2,325	58,875
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	69,145	-	-	69,145
დაგროვილი ზარალი	(22,799)	(20,885)	-	(43,684)
სულ კაპიტალი	46,346	(20,885)	-	25,461
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	2,139	616	(10)	2,745
საგადასახადო ვალდებულება	-	-	293	293
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	28,049	-	2,327	30,376
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	285	-	(285)	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	30,473	616	2,325	33,414
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	76,819	(20,269)	2,325	58,875

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები (გაგრძელება)

2019 წლის შედეგებზე კორექტირებების და რეკლასიფიკაციების შედეგი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2019	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	2019 (გადაანგარიშებული)
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირდაპირი დანახარჯები	9,354	-	(313)	9,041
	(4,336)	-	(613)	(4,949)
საერთო მოგება	5,018	-	(926)	4,092
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(2,126)	-	(565)	(2,691)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	-	-	292	292
სხვა საოპერაციო ხარჯები	(338)	-	338	-
აქტივების გაუფასურების ხარჯი	-	(259)	-	(259)
ცვთის ხარჯი	(668)	-	668	-
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	1,886	(259)	(193)	1,434
ფინანსური შემოსავალი	1	-	-	1
ფინანსური ხარჯი	(405)	-	113	(292)
საკურსო მოგება/(ზარალი)	(115)	(191)	62	(244)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(1,560)	-	18	(1,542)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(193)	(450)	-	(643)
მოგების გადასახადი	-	-	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)	(193)	(450)	-	(643)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 1 იანვარს ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქარველოს ეროვნული ბანკის ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
2019 წლის 1 იანვარი	2.6766	3.0701

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	5%
ოფისის აღჭურვილობა	20%
კომპიუტერული ტექნიკა	20%
სატრანსპორტო საშუალებები	15%

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც სავალდებულოა გაუფასურებაზე ტესტირება ყოველწლიურად, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოძინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი შეფასებისას ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად ნორმატიული დანაკარგების გათვალისწინებით. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

საკუთარი წარმოების პროდუქციის თვითღირებულებაში, ნედლეულის გარდა შედის სახელფასო ხარჯი და სხვა ისეთი ზედნადები ხარჯები, რისი გაწევაც აუცილებელია პროდუქციის დასამზადებლად.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში:

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- 1) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI);
- 2) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და
- 3) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი და გაითვალისწინება წარმოდგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს (SPPI). თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, შესაძლებელია მისი ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და არის ისეთი პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც კომპანია ფლობს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის, ისე გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას.

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში. კომპანია სავალო ინვესტიციებს კლასიფიკაციას უცვლის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

- **აღიარება და აღიარების შეწყვეტა.** კომპანია აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა კომპანია ხდება სახელშეკრულებო პირობების ერთ-ერთი მხარე. ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების აღიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ შეისყიდის ან გაყიდის აქტივს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივიდან, ვადა გაუვა ან სხვას გადასცემს და ამავე დროს გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. კომპანია ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალო ინსტრუმენტის განახლება არსებითად განსხვავებული პირობებით, აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და აღიარება ახალი ვალდებულების. ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და აღიარება ახალი ფინანსური ვალდებულების. განსხვავება შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, გადაცემული/აღებული არაფულადი აქტივების/ვალდებულებების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში.

- **ღირებულების განსაზღვრა.** საწყისი აღიარებისას კომპანია ფინანსური აქტივის ღირებულებას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევაში როცა ფინანსური აქტივი არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით (FVPL), ტრანზაქციის დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენაზე ემატება ღირებულებას. ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც აღიარებულია რეალური

ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით, გარიგების დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

გარიგების დანახარჯები არის წმინდა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. წმინდა დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ იქნებოდა, თუ მოცემული ოპერაცია არ განხორციელდებოდა. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (რწმუნებულების) (მათ შორის, გაყიდვის აგენტების რანგში მოქმედი დაქირავებული პირების), კონსულტანტების, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საზღაურსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, ასევე გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების პრემიებსა და დისკონტებს, დაფინანსების დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ან ფლობის დანახარჯებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ფინანსური აქტივები მასში ჩანერგილი წარმოებულებით განიხილება ერთობლიობაში, რათა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირისა და პროცენტის მიღებას.

სავალო ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და აქტივების ფულადნაკადობრივი მახასიათებლების მართვას. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

- **ამორტიზირებული ღირებულება.** აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი შემოსულობები და დანაკარგების აღიარება ხდება პირდაპირ მოგება-ზარალში. გაუფასურების ხარჯები ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.

- **FVOCI.** აქტივები, რომლის ფლობის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და გაყიდვა და ამავე დროს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირს და პროცენტს წარმოადგენს ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI). ყველა ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურებასთან დაკავშირებული შემოსულობის/ზარალისა, საპროცენტო შემოსავლისა და საკურსო სხვაობებისა, რაც აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას ამ პერიოდამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა/ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალის უწყისში.

ასეთ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

- **FVPL.** აქტივები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამორტიზირებული ღირებულებების ან FVOCI-ის კრიტერიუმებს ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVPL).

- **წილობრივი ინსტრუმენტები.** წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ

არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

- **გაუფასურება.** კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ამისთვის ფასდება ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობა. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც დამოკიდებულია ხელშეკრულებით არებული ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის დონეზე. შედეგად, განისაზღვრება სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. კომპანია მოთხოვნას მიმდინარედ განიხილავს წარმოშობიდან სამი თვის განმავლობაში.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. კომპანიის ფინანსური აქტივები ყველა წარდგენილი ანგარიშგების თარიღისთვის ხდება იმ კატეგორიაში რომელიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით და მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.** ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: 1) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და 2) სხვა ფინანსური ვალდებულებები.

გასაყიდად ფლობილი წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, ცვლილებები რეალურ ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა (FVPL).

ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებაში ცვლილებები, იმ დროს როდესაც კომპანია იყენებს FVPL-ს მოდელს, შეუქცევადად აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (OCI), თუ:

- სხვა სრულ შემოსავალში წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის მოგება-ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამობებს; ან
- ვალდებულება არის სავალო ვალდებულება ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი.

- **ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა.** ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: 1) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას; 2) დეფოლტისას; 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრებისას.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა - კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას. გარდა ამისა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ასევე წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე ან მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე. მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც არსებული გარემოებებისთვის შესაფერისია და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ ემპირიულ მონაცემებს და მინიმალურად - არაემპირიულ მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებებში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

• დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. მოთხოვნა კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივი.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გაუფასურება, რაც აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო-კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

იჯარა. ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა კომპანია აფასებს:

- გულისხმობს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენებას - რომელიც შეიძლება განისაზღვროს აშკარად ან შინაარსობრივად და ფიზიკურად განცალკევებულია ან წარმოადგენს ფიზიკურად განცალკევებული აქტივის არსებით სიმძლავრეს. თუ მომწოდებელს გააჩნია აქტივის არსებითი შეცვლის უფლება აქტივი არ არის იდენტიფიცირებული

- კომპანიას გააჩნია ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთელი სარგებლის მიღების უფლება;

- კომპანიას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება. კომპანიას უფლება აქვს განსაზღვროს როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში. იშვიათ შემთხვევებში, როდესაც წინასწარ არის დადგენილი შესაბამისი გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი, კომპანიას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება თუ:

(i) კომპანიას აქვს აქტივის ექსპლუატაციის უფლება;

(ii) კომპანიამ იმგვარად დააპროექტა აქტივი (ან აქტივის გარკვეული ასპექტები), რაც თავად განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით იქნება გამოყენებული აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

როდესაც კონტრაქტი შეიცავს იჯარის კომპონენტს, მისი საწყისი აღიარებისას ან შემდგომ შეფასებისას კომპანია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ანაზღაურებას ანაწილებს თითოეულ საიჯარო კომპონენტზე საიჯარო კომპონენტების განცალკევებული შედარებითი ფასების საფუძველზე. თუმცა მიწისა და შენობის იჯარის შემთხვევაში, კომპანია არ აცალკევებს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც არ შეიცავს იჯარას და შესაბამისად ორივე ტიპის კომპონენტს აღრიცხავს როგორც ერთ განცალკევებულ კომპონენტს.

კონტრაქტები, რომლებიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარამდე კომპანია განსაზღვრავს შეიცავდა თუ არა შეთანხმება იჯარას შემდგომი შეფასებაზე დაყრდნობით:

- შეთანხმების შესრულება დამოკიდებულია აქტივის ან აქტივთა ჯგუფის გამოყენებაზე;
- შეთანხმების მიხედვით გადაცემულია აქტივის გამოყენების უფლება. აქტივის გამოყენების უფლება გადასულია მაშინ, როდესაც:
 - მყიდველს აქვს აქტივის ექსპლუატაციის უფლება ან შესაძლებლობა, როდესაც იღებს ან აკონტროლებს აქტივით წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს;
 - მყიდველს აქვს აქტივის კონტროლის უფლება, როდესაც იღებს ან აკონტროლებს აქტივით წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს; ან
 - ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ რომ ნაკლებად სავარაუდოა რომ სხვა მხარე მიიღებს აქტივით წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს და ერთეულის ფასი არ იქნება ფიქსირებული და ტოლი აქტივით წარმოებული პროდუქციის მიმდინარე საბაზრო ფასისა.

კომპანია, როგორც მოიჯარე

თავდაპირველი აღიარება. კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების საწყის ღირებულებულებას დაკორექტირებული საიჯარო გადახდებით, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით, მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებით და იმ დანახარჯებით, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს.

ცვთა. აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე ან იჯარის ვადამდე. აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების განსაზღვრისას კომპანია იყენებს იგივე მიდგომებს, როგორც ძირითად საშუალებებზე. კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას პერიოდულად ამცირებს გაუფასურების ზარალით, თუ არსებობს საიჯარო ვალდებულებების ხელახალი შეფასების საჭიროება.

შემდგომი შეფასება. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამგანაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

- ა) ფიქსირებულ გადახდებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ბ) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით;
- გ) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- დ) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ე) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს ამორტიზირებული ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებებს როდესაც შეიცვლება თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან როდესაც შეიცვლება კომპანიის შეფასება კონტრაქტის გაყიდვის, გაგრძელების ან შეწყვეტის უფლების შესახებ.

კომპანია საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებულ თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, მოიჯარემ ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიაროს მოგება/ზარალში.

კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარადგენს აქტივის გამოყენების უფლებას რომელიც არ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას და საიჯარო ვალდებულებას.

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე იჯარები. კომპანიამ გათავისუფლების უფლება და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივებს და იჯარებს, რომელთა ვადა იწურება სტანდარტის პირველადი გამოყენებიდან მომდევნო 12 თვეში, არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებად. კომპანია ასეთ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით.

საოპერაციო, იჯარად კლასიფიცირებული იჯარა ბასს 17-ის მიხედვით. სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით საიჯარო ვალდებულება უნდა შეფასდეს დარჩენილი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, დისკონტირებული ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. აქტივის გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს:

- საბალანსო ღირებულებით ისე, თითქოს წინამდებარე სტანდარტს იყენებდა იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან, მაგრამ მისი დისკონტირებით სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არსებული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით - კომპანია იყენებს ამ მიდგომას მნიშვნელოვან აქტივთა ჯგუფისთვის.

- საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით, რომელიც კორექტირებული იქნება იჯარასთან დაკავშირებით წინასწარ განხორციელებული ან დარიცხული საიჯარო გადახდების თანხით, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულია უშუალოდ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე - კომპანია იყენებს ამ მიდგომას სხვა საიჯარო აქტივთა ჯგუფისთვის.

კომპანიას ფასს 16-ის რეტროსპექტულად გამოყენებისას ერთი ან რამდენიმე ქვემოთ აღწერილი გამარტივებული მიდგომის გამოყენების უფლება აქვს ისეთ იჯარასთან მიმართებით, რომელიც წინათ ბასს 17-ის შესაბამისად კლასიფიცირებული იყო საოპერაციო იჯარად.

- მოიჯარეს უფლება აქვს ერთი დისკონტირების განაკვეთი გამოიყენოს საკმარისად მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებით;

- გაუფასურების მიმოხილვის ჩატარების ნაცვლად მოიჯარეს უფლება აქვს, ბასს 37-ის – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ – შესაბამისად გააანალიზოს, არის თუ არა იჯარა ზარალიანი.

ამასთან, ეს ანალიზი უშუალოდ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღის წინ უნდა ჩატაროს. თუ მოიჯარე გადაწყვეტს ზემოაღნიშნული გამარტივებული მიდგომის გამოყენებას, მან სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის უნდა დააკორექტიროს აქტივის გამოყენების უფლება ზარალიან იჯარასთან დაკავშირებით აღიარებული ანარიცხის ტოლი თანხით, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული იყო უშუალოდ

- გამოიყენოს უფლება არ აღიაროს აქტივის გამოყენების უფლება იმ იჯარებთან მიმართებით, რომელთა ვადა იწურება სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგი 12 თვის განმავლობაში.

- მოიჯარეს უფლება აქვს, თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები არ გაითვალისწინოს სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით აქტივის გამოყენების უფლების შეფასებაში;

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მოიჯარეს უფლება აქვს რეტროსპექტული მიდგომა გამოიყენოს თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის არჩევის უფლებას.

იჯარა, რომელიც წინათ კლასიფიცირებული იყო, როგორც ფინანსური იჯარა. თუ მოიჯარე წინამდებარე სტანდარტის გამოყენებას გადაწყვეტს ისეთი იჯარისთვის, რომელიც წინათ ბასს 17-ის შესაბამისად კლასიფიცირებული იყო ფინანსურ იჯარად, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საიჯარო აქტივისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, რომელიც მათ ჰქონდა უშუალოდ ბასს 17-ის გამოყენებით შეფასებამდე.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა)

კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ფასს 15-ის მოთხოვნების მიხედვით კომპანია აღრიცხავს კვებითი უზრუნველყოფის მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს.

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა. თუ დამკვეთი გადახდას განხორციელებს კომპანიის მიერ მისთვის მომსახურების მიწოდებამდე, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება მოხდება ღირებულების გადახდისას ან მისი გადახდის ვადის დადგომისას (რომელსაც უფრო ადრე ექნება

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც კომპანია ასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ შესასრულებელ ვალდებულებებს.

კომპანია ყველა ოპერაციაში გამოდის პრინციპალის სახით.

კომპანია მომხმარებლებს არ სთავაზობს გარანტიებს, გადახდილი თანხის ანაზღაურების და პროდუქციის დაბრუნების უპირობო უფლებას. კომპანია არ გეგმავს ისეთი გარიგებების განხორციელებას, რომლის შემთხვევაშიც პერიოდი პროდუქციის კლიენტისთვის გადაცემის მომენტიდან ღირებულების ანაზღაურებამდე აღემატება ერთ წელს.

მომხმარებლებთან დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები. როდესაც კონტრაქტის მონაწილე რომელიმე მხარე შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებას, კომპანია ვალდებულია აღრიცხოს კონტრაქტი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო აქტივი ან ვალდებულება, რაც დამოკიდებულია კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოსა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის დამოკიდებულებაზე. კომპანია ვალდებულია წარადგინოს ნებისმიერი უპირობო უფლებები ცალკე, როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება.

საკონტრაქტო აქტივები. როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს საქონელს/მომსახურებას მომხმარებლის მიერ საქონლის საფასურის გადახდამდე ან გადახდის ვადის მოსვლამდე, კომპანია გარიგებას აღრიცხავს როგორც კონტრაქტულ აქტივს, გარდა იმ თანხისა, რომელიც წარმოდგენილია როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება.

საკონტრაქტო ვალდებულებები. მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები ან კომპანიის უპირობო უფლებები საქონლის გადაცემამდე კლიენტებისგან კომპენსაციის მიღებაზე აღიარდება როგორც კონტრაქტული ვალდებულებები. კონტრაქტული ვალდებულებები აღიარდება ავანსის გადახდისას ან გადახდის ვადის დადგომისას (ამ ორიდან რომელიც უფრო ადრე მოხდება). კონტრაქტული ვალდებულებები წარმოადგენენ კომპანიის ვალდებულებას, მომხმარებლებს გადასცენ საქონელი, რომლის სანაცვლოდაც კომპანიას მიღებული აქვს კომპენსაცია (ან კომპენსაციის გადახდის ვადა დამდგარი).

მომხმარებლისგან მიღებული არაფულადი ანაზღაურება. თუ მომხმარებელი საწარმოს აწვდის საქონელს ან მომსახურებას (მაგალითად, მასალებს, მანქანადანადგარებს, ან სამუშაო ძალას), რათა ხელი შეუწყოს მას ხელშეკრულების პირობების შესრულებაში, საწარმო აფასებს მოიპოვებს თუ არა იგი კონტროლს მისთვის თანამშრომლობის მიზნით გადაცემულ საქონელზე ან მომსახურებაზე. თუ ასეა, მაშინ საწარმომ ამგვარი მიღებული საქონელს ან მომსახურებას ასახავს როგორც მომხმარებლისგან მიღებული არაფულადი ანაზღაურებას.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

• ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად. ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. მომსახურების ვადების შეფასება კომპანიაში დიდი ხნის განმავლობაში არ მომხდარა, შესაბამისად მენეჯმენტი გეგმავს 2021 წელს გადახედოს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს.

- რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური მიდგომა მოთხოვნებისა და ავანსებისათვის, მოსალოდნელი დანაკარგები შეფასებულ იქნა როგორც ნული ყველა საანგარიშგებო პერიოდისთვის.

- საგადასახადო კანონმდებლობა.

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

6. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. მოსალოდნელია, რომ ქვემოთ მოცემულია ახალი და კორექტირებული სტანდარტები, არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას მომავალში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- წაგებიანი ხელშეკრულება- ვალდებულებების შესასრულებლად გასაწევი გარდაუვალი დანახარჯები (ბასს 37-ის კორექტირება);
- ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა მეორე ეტაპი - შესწორება სტანდარტებში ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული (გაგრძელება)

- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს-16-ის კორექტირება);
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირება);
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები);
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და კორექტირებები სადაზღვევო ხელშეკრულებებში.

7. ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

შემოსავლის სახე	2020	2019 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	28,569	9,006
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	10,266	35
სულ	38,835	9,041

ინფორმაცია სახელშეკრულებო მოთხოვნა/ვალდებულებებზე:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	6,714	1,141
სახელშეკრულებო ვალდებულებები (მიღებული ავანსები)	21,357	32,042

სავაჭრო მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი, ჩვეულებრივ მათი შეგროვების პერიოდი არის 30 დღემდე. საკონტრაქტო ვალდებულებები მოიცავს მომხმარებლისგან მიღებულ მოკლევადიან ავანსებს. კომპანიას არ აქვს საქონლის დაბრუნებასთან დაკავშირებული მოთხოვნა/ვალდებულებები, გაცემული გარანტიები და ლოიალურობის პროგრამა. აღნიშნული შენიშვნა მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის შემოსავლების გარკვეული ნაწილი წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას "სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ კანონის" მიხედვით.

8. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირდაპირი დანახარჯები

	2020	2019 (გადაანგარიშებული)
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი	(17,067)	(4,916)
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(3,307)	(33)
სულ	(20,374)	(4,949)

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2020	2019 (გადაანგარიშებული)
შრომის ანაზღაურება	(1,765)	(1,526)
ცვეთა და ამორტიზაცია	(689)	(668)
სანებართვო მოწმობის ხარჯი	(156)	(82)
საგადასახადო ხარჯი გარდა მოგების გადასახადისა	(143)	(108)
რემონტის ხარჯი	(24)	(5)
საბანკო ხარჯი	(12)	(20)
სხვა ხარჯები	(273)	(282)
სულ	(3,062)	(2,691)

10. სხვა საოპერაციო შემოსავალი

კომპანიის სხვა საოპერაციო შემოსავალს წარმოადგენს იჯარით გაცემული ფართებიდან მიღებული შემოსავალი.

სს „თამ“ თბილავიამშენი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. აქტივების გაუფასურების ხარჯი

	2020	2019 (გადაანგარიშებული)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	(3,803)	(236)
მოთხოვნების რეზერვის ხარჯი	(146)	(23)
	(3,949)	(259)

სს „თამ“ თბილავიამშენი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	მძიმე და მსუბუქი ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სხვა ძირითადი საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	უზურფრუქტით გაცემული ქონება	სულ ძირითადი საშუალებები
1 იანვარი 2019 (გადაანგარიშებული)	3,861	12,438	12,772	4,213	1,071	798	20,440	55,593
შემოსვლა	-	110	-	8	-	388	-	506
გასვლა/ჩამოწერა	(375)	-	-	-	-	-	-	(375)
31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)	3,486	12,548	12,772	4,221	1,071	1,186	20,440	55,724
შემოსვლა	5	675	43	118	109	-	42	992
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	(11)	-	(11)
31 დეკემბერი 2020	3,491	13,223	12,815	4,339	1,180	1,175	20,482	56,705
დაგროვილი ცვეთა								
1 იანვარი 2019 (გადაანგარიშებული)	(2,641)	(11,674)	(9,417)	(4,028)	(1,052)	-	(36)	(28,848)
ცვეთის ხარჯი	(38)	(255)	(273)	(28)	(3)	-	(26)	(623)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)	(2,679)	(11,929)	(9,690)	(4,056)	(1,055)	-	(62)	(29,471)
ცვეთის ხარჯი	(38)	(263)	(273)	(30)	(15)	-	(29)	(648)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	(2,717)	(12,192)	(9,963)	(4,086)	(1,070)	-	(91)	(30,119)
საბალანსო ღირებულება								
1 იანვარი 2019 (გადაანგარიშებული)	1,220	764	3,355	185	19	798	20,404	26,745
31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)	807	619	3,082	165	16	1,186	20,378	26,253
31 დეკემბერი 2020	774	1,031	2,852	253	110	1,175	20,391	26,586

სს „თამ“ თბილისში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2019 (გადაანგარიშებული)
წარმოება და მზა აქტივები	21,507	31,319	25,900
მასალები და ნედლეული	14,954	13,370	13,845
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	36,461	44,689	39,745
ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე შემცირება	(22,158)	(18,355)	(18,119)
სასაქონლო მატერიალური მარაგები, წმინდა	14,303	26,334	21,626

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2019 (გადაანგარიშებული)
გადახდილი ავანსები	9,296	5,756	4,393
სავაჭრო მოთხოვნები	6,713	1,141	2,592
მოთხოვნების პერსონალის მიმართ	206	52	115
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16,215	6,949	7,100
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(2,319)	(2,173)	(2,150)
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,896	4,776	4,950

მოძრაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხებში:

	სავაჭრო მოთხოვნები	გადახდილი ავანსები	სულ
1 იანვარი 2019	278	1,872	2,150
მოგება-ზარალში აღიარებული	-	23	23
31 დეკემბერი 2019	278	1,895	2,173
მოგება-ზარალში აღიარებული	146	-	146
31 დეკემბერი 2020	424	1,895	2,319

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2019 (გადაანგარიშებული)
უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში	1,175	1,210	21
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	280	1,904	2,517
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	99	1,081	1,142
სულ	1,554	4,195	3,680

16. კაპიტალი

საზოგადოების სააქციო კაპიტალი შეადგენს 69,145,245 (ერთეული) ლარს. საწესდებო კაპიტალი დაყოფილია 69,145,245 ჩვეულებრივ სახელობით აქციებად, რომელთა ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი.

17. საგადასახადო ვალდებულება

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საგადასახადო აქტივი მოიცავს საკუთარი წარმოების დროს გამოყენებული სამშენებლო მასალების შემენისას ჩათვლილ დღგს, რომელიც ექვემდებარება დაბრუნებას შენობის ექსპლუატაციაში მიღების მომენტში.

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2019 (გადაანგარიშებული)
მიღებული ავანსები	21,356	32,042	27,967
სავაჭრო ვალდებულებები	3,007	2,730	2,289
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	75	66	120
	24,438	34,838	30,376

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

20. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
დებიტორული დავალიანება	წილის მმართველი	557	502	542
ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან			2020	2019
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები			198	71

21. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაბამისი რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ მომსახურების შემდგომი გადახდის პირობით მიწოდებით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია.

კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული ხელშეკრულებების ფარგლებში არსებული კონტრაჰენტების ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლებთანაც ხელშეკრულება არ მოიცავს ერთიან საავანსო გადახდის პირობას. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკრედიტო რისკების მართვა ხორციელდება თვითოეული ხელშეკრულების დონეზე არსებული რისკების წინა თანამშრომლობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

21. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მონეტარული აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,216	5,680	-
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები	104	1,427	23
სულ	8,320	7,107	23
მონეტარული ვალდებულებები	ლარი	დოლარი	ევრო
მოკლევადიანი სესხები	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23,243	836	359
სულ	23,243	836	359

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მონეტარული აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,636	140	-
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები	1,086	3,020	89
სულ	5,722	3,160	89
მონეტარული ვალდებულებები	ლარი	დოლარი	ევრო
მოკლევადიანი სესხები	2,895	293	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	34,036	524	278
სულ	36,931	817	278

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის სენსიტიურობის ანალიზი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

	ლარი/დოლარი (ზრდა 20%)	ლარი/დოლარი (კლება 20%)
2020	(5,017)	5,017
2019	(1,874)	1,874
	ლარი/ევრო (ზრდა 20%)	ლარი/ევრო (კლება 20%)
2020	269	(269)
2019	151	(151)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

კომპანიას არ გააჩნია ცვლად საპროცენტო განაკვეთზე დამოკიდებული ფინანსური ინსტრუმენტები.

21. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით.

ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზირება ხორციელდება საოპერაციო ერთეულების დონეზე, აგრეგირებული მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით. ასეთი პროგნოზი ითვალისწინებს ასევე რეფინანსირების გეგმებს. ფინანსური განყოფილება მონიტორინგს უწევს ლიკვიდობის მართვას მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში, რომ უზრუნველყოს საკმარისი ფულის ქონა საკუთარი საოპერაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და დაიტოვოს საკმარისი არეალი იმისათვის, რომ არ დაარღვიოს სესხების ლიმიტები.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებებით, დაჯგუფებული დაფარვის ვადების მიხედვით:

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დაფარვის ვადიანობა როგორც წესი არ აჭარბებს სამ თვემდე პერიოდს.

რეალური ღირებულება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე. კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ რეალურ ღირებულებას.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად.

კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე კომპანიაში შეიცვალა დირექტორი. აღნიშნული პოზიცია მიხეილ ოდლიშვილმა დაიკავა 2021 წლის 21 თებერვალს.

სს „თამ“ თბილავიამშენი

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სს „თამ“ თბილავიამშენი

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „თამ“ თბილავიამშენი წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის სწორუქტურა, უფლებამოსილება და მართვის ორგანიზება განსაზღვრულია წესდებით. უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს კრება, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და წესდებით. სს „თამ“ თბილავიამშენი (შემდგომში „კომპანია“) არის სააქციო საზოგადოება. კომპანიის დირექტორია მიხეილ ოლიშვილი.

სააქციო საზოგადოება „თამ“ თბილავიამშენი რეგისტრირებულია ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მიერ 01.03.2000 წ. N7/4-1401 დადგენილებით.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები: კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამხედრო და საავიაციო ტექნიკის დაპროექტება, დამზადება, გამოცდა, მოდერნიზაცია და რემონტი.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2020	2019
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	38,835	9,041
მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირდაპირი დანახარჯები	(20,374)	(4,949)

არსებული პროდუქტები და მომსახურება

საწარმოს ძირითადი საქმიანობის სფერო წლების განმავლობაში არის საავიაციო ტექნიკის რემონტი და შეკეთება, კერძოდ სამხედრო და სამოქალაქო დანიშნულების თვითმფრინავების მოდერნიზება და რემონტი. სამხედრო დანიშნულების ტექნიკისა მოდერნიზაცია, აგრეთვე საზოგადოების, სამოქალაქო დანიშნულების პროდუქცია, რაც დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს, როგორც ადგილობრივ, ისე გარე ბაზარზე.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2020 წლის საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 38,835, რაც 76 %-ით მეტია 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე

ძირითადი კოეფიციენტები:	31 იანვარი 2020	31 იანვარი 2019
სულ შემოსავალი	38,835	9,041
სულ აქტივები	58,167	63,428
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	200	174
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1,21	0,91
წმინდა მოგების მარჟა	21.21%	-7.1%

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: კომპანიის პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 174 დან 200 თანამშრომლამდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

კომპანიას საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ აქვს დიდი საკადრო ბრუნვა, მსხვილი კორპორაციისთვის დამახასიათებელი საკადრო პოლიტიკა და პროცედურები.

ძირითადი მომწოდებლები

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე სახელმწიფო კომპანიისათვის ერთ-ერთ დამკვეთს წარმოადგენს.

სს „თამ“ თბილავიამშენი

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია:

ახალი მომხმარებლების მოზიდვა

კომპანია მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და შესთავაზოს ხელსაყრელი პირობები არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს, რათა მოხდეს ახალი კომპანიების მოზიდვა და შესაბამისად რეალიზაციის მოცულობის ზრდა.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა

კომპანია მუდმივად ადევნებს თვალს სიახლეებს საავიაციო სფეროში, სხვადასხვა გამოცემებისა და გამოფენების მეშვეობით. შესაბამისად ხდება ტექნოლოგიური სიახლეების პერმანენტული დანერგვა საქმიანობაში, რათა გაუმჯობესებულ იქნას უსაფრთხოების სტანდარტი და მომსახურების ხარისხი.

საწარმო სიმძლავრეების განვითარება

რეალიზაციის მოცულობის ზრდასთან ერთად კომპანია ორიენტირებულია განახორციელოს ინვესტიციები სასაწყობო მეურნეობის სიმძლავრეების და მიწოდების საშუალებების განვითარებაში, რათა უფრო ეფექტური გახდეს მისი საქმიანობა ბაზრის საერთო ზრდის ტენდენციების შესაბამისად.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2020 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2020 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019	შენიშვნა
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,896	4,776	4,950	შენიშვნა #1
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24,438	34,838	30,376	შენიშვნა #2
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	38,835	9,041	-	შენიშვნა #3
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(3,062)	(2,691)	-	შენიშვნა #4

შენიშვნა #1

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა გამოწვეულია მომსახურების ახალი ხელშეკრულებებით.

შენიშვნა #2

სავაჭრო ვალდებულებების შემცირება გამოწვეულია ერთ-ერთი მსხვილი პროექტის დასრულებით. არსებული კლიენტი წარმოადგენს უცხოურ კომპანიას, რომელსაც 2019 წლის 31 დეკემბრის თარიღისთვის ჩარიცხული ჰქონდა ავანსი და უნდა მიეღო მომსახურება, რომელიც 2020 წლის განმავლობაში გაიწია.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები (გაგრძელება)

შენიშვნა #3

კომპანიამ 2020 წლის განმავლობაში ახალი ხელშეკრულებები გააფორმა. 2020 წლის განმავლობაში კომპანიამ როგორც ახალი პროექტები, ასევე 2019 წელს აღებული რამდენიმე მსხვილი ვალდებულების (ჩარიცხული ავანსი) შესაბამისი მომსახურებაც გაწია.

შენიშვნა #4

როგორც მე-3 შენიშვნაში აღვნიშნეთ, კომპანიას გაეზარდა პროექტების რაოდენობა და მოცულობა, შესაბამისად საჭირო გახდა ახალი კადრების აყვანა. 2020 საანგარიშგებო პერიოდში საერთო და ადმინისტრაციული ხარჯის ზრდა გამოწვეულია სახელფასო ხარჯის ზრდით.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანიის რისკების მართვა ხორციელდება უმაღლესი მენეჯმენტის მიერ. უმაღლესი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკასა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე, იმისათვის რომ უზრუნველყოფილ იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, უმაღლესი მენეჯმენტის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილების ხელმძღვანელობაზე. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს ორგანიზაციის საქმიანობაზე.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2020	2019
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,729	3,723.5
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	15.9	17.7
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4,275	4,763.5
მშპ-ის რეალური ზრდა, %	(6.2%)	5.1%
საშუალო წლიური ინფლაცია	5.2%	3.6%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	616.9	1,267.7
უმუშევრობის დონე	18.5%	11.6%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია.

კომპანიის საკრედიტო რისკები კონცენტრირებულია უცხოური კლიენტების მიერ განხორციელებული შეკვეთების მოცულობაზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით დავალიანების დაფარვის ვადა არის მომსახურების გაწევიდან 30 დღე. უცხოურ კლიენტებთან ურთიერთობის გამოცდილებიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანია არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო

სს „თამ“ თბილავიამშენი

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

(საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ექვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას არ წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რადგან მომწოდებლებთან და მომხმარებელთან თანამშრომლობს ეროვნულ ვალუტაში.

კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია მხოლოდ აშშ დოლარში, რომელიც დაკავშირებულია მიღებულ საკრედიტო ხაზთან.


საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე, თუმცა კომპანიას არ წარმოეშვება დამატებითი რისკები რადგან სესხი დაფარულია 2020 წლის დეკემბერში და შესაბამისად საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკი არ წარმოადგენს კომპანიისთვის მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:


- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 16 მარტს:



გენერალური დირექტორი

მიხეილ ოდლიშვილი



ფინანსური

დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ნოზაძე

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

(საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ექვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას არ წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რადგან მომწოდებლებთან და მომხმარებელთან თანამშრომლობს ეროვნულ ვალუტაში.

კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია მხოლოდ აშშ დოლარში, რომელიც დაკავშირებულია მიღებულ საკრედიტო ხაზთან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე, თუმცა კომპანიას არ წარმოეშვება დამატებითი რისკები რადგან სესხი დაფარულია 2020 წლის დეკემბერში და შესაბამისად საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკი არ წარმოადგენს კომპანიისთვის მნიშვნელოვნა რისკ ფაქტორს.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 16 მარტს:

გენერალური დირექტორი

მიხეილ ოდლიშვილი

ფინანსური
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ნოზაძე